ფორმალური კონსტიტუციური კონტროლი – კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი

ანა კუჭუხიძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის დოქტორანტი

ელ.ფოსტა: kuchukhidzeana@gmail.com

აბსტრაქტი

2017 წელს საქართველოში განხორციელებულმა საკონსტიტუციო რეფორმამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებზე. მეცნიერთა გარკვეული ჯგუფი მიიჩნევს, რომ ამ ცვლილებების ფონზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაკარგა ფორმალური კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა. სტატიის პირველ ნაწილში საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შესწავლილია, თუ რამდენად შესაძლებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის ფარგლებში განახორციელოს სრული ფორმალური კონტროლი.

სტატიის მეორე ნაწილი ეფუძნება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების სისტემურ და ლოგიკურ ანალიზს და საავსებით წარმოაჩენს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომას საკონსტიტუციო კონტროლის სპეციფიკურ სახესთან, მის ფორმალურ კონტროლს. ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დამდგენი კონსტიტუციური ნორმები ზოგჯერ მოითხოვენ, რომ ძირითად უფლებაში ჩარევა განხორციელდეს კონკრეტული სამართლებრივი ფორმის დაცვით, მაგალითად: მხოლოდ კანონით ან ორგანული კანონით. ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, როდესაც საკითხი უშუალოდ მოწესრიგებულია კანონით/ორგანული კანონით ან მაშინ, როდესაც კანონმდებელმა კანონის საფუძველზე მოაწესრიგა საკითხის უფლებამოსილების დელეგირება. თავის მხრივ, დელეგირების კონსტიტუციურად მიჩნევისათვის ის უნდა აკმაყოფილებდეს მთელ რიგ კრიტერიუმებს. სტატიის მეორე ნაწილში წარმოჩენილია სწორედ ეს კრიტერიუმები და სისტემატიზებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის სიღრმისეული კვლევის შედეგები.

საკვანძო სიტყვები: დელეგირება, ფორმალური, კონსტიტუცია

Formal Constitutional Control – Analysis of the Legislation and Practice

Ana Kuchukhidze

Ph.D Student at School of Law at Grigol Robakidze University

E-mail: kuchukhidzeana@gmail.com

ABSTRACT

The constitutional reform undertaken in Georgia in 2017, had a significant impact on the scope of the Constitutional Court's competence. Some scholars believe that as a result of the reform, formal control was removed from the Constitutional Court's competences. By analysing Georgian legislation and case law of the Constitutional Court of Georgia, the first part of the article aims establish to what extent is it possible to exercise formal control within the current wording of the Constitution.

The second part of this article is based on the systematic and logical analysis of ongoing case law and fully represents Georgian Constitutional Court's approach to a specific form of the formal control. Constitutional norms establishing basic human rights and freedoms in many cases require that intervention in basic rights should be performed by keeping a specific legal form, for example, only under the organic law or law. This formal requirement will be deemed met when the issue is regulated directly by the law/organic law or when the legislator has lawfully delegated authority to regulate this issue. In order to be considered constitutional, such delegation should meet a list of criteria. The second part of the article outlines these criteria and systemizes data obtained as a result of thorough analysis of the decisions of the Constitutional Court of Georgia.

KEYWORDS: Delegation, Formal, Constitution

Email: info@heraldoflaw.com

შესავალი

უკანასკნელ პერიოდში საკონსტიტუციო სამართლის მკვლევრებისთვის მუდმივი შეფასების ობიექტია საქართველოს 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმა. მან გარკვეული გავლენა მოახდინა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მარეგულირებელ კანონმდებლობაზეც. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული განსჯის ობიექტი გახდა ცვლილება, რომლითაც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ფორმალური კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა. სტატიის პირველი ნაწილი მიზნად ისახავს სწორედ ამ ჭრილში საკონსტიტუციო რეფორმის ანალიზს და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას.

სტატიის მეორე ნაწილში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და განჩინებების სისტემური და ლოგიკური ანალიზის შედეგად განხილული და სისტემატიზებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა,რომელიც საკითხის კანონით ან ორგანული კანონით მოწესრიგების ფორმალური კრიტერიუმის ჭრილშია გაშუქებული.

1. კონსტიტუციური რეფორმის ანალიზი ფორმალური კონსტიტუციური კონტროლის ჭრილში

საკონსტიტუციო კონტროლი ხასიათდება ფორმებისა და პროცედურების მრავალფეროვნებით და მათი კლასიფიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ნიშნით: „შინაარსის მიხედვით საკონსტიტუციო კონტროლი შეიძლება იყოს ფორმალური ან მატერიალური.“[1] მატერიალური კონტროლი გულისხმობს ნორმის შინაარსის კონსტიტუციურობის შემოწმებას. მატერიალური კონტროლისაგან განსხვავებით, „ფორმალური კონტროლი შემოიფარგლება მხოლოდ იმ საკითხის შესწავლით, მოხდა თუ არა კანონის ძალაში შესვლა კონსტიტუციური მოთხოვნების დაცვით.“[2] კონსტიტუციები რიგ შემთხვევაში „განსაზღვრავენ სუბიექტებს, რომლებიც ქმნიან „კანონს“, არეგულირებენ კანონის მიღების პროცედურებსა და კანონის გამოხატვის სამართლებრივ ფორმას.“[3] ფორმალური კონტროლის არსიდან გამომდინარე, „მისი განხორციელება სწორედ იმ აქტებზეა შესაძლებელი, რომელთა მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნების ან ამოქმედების წესები დადგენილია თავად კონსტიტუციით.“[4]

საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ფორმალური კონტროლის განხორცილების უფლებამოსილება მუდმივად აზრთა სხვადასხვაობის საგანი იყო. განსაკუთრებული აქტუალურობით გამოირჩეოდა კონსტიტუციური ცვლილებების ფორმალური კონტროლის უფლებამოსილების მოცულობის კვლევა. გარკვეულწილად, ეს განპირობებული იყო კანონმდებლობით, რომელიც შესაძლოა, არ იყო საკმარისად ცხადი, მაგალითად: საქართველოსგან განსხვავებით თურქეთში ფორმალური კონტ-

1 კახიანი, გ., 2008. საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 31.

2 Herzog, P., 1993. Japan's Pseudo-Democracy. Published by NYU Press. გვ. 40.

3 Sinani, B., 2013. A critical-legal overview of the concept of constitution as the highest legal – political act of the state in the light of constitutional-juridical doctrine. Journal of law and social sciences of the Law Faculty of University J.J. Stossmayer in Osijek. 29(2). გვ. 52.

4 კახიანი, გ., 2008. საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 124.

როლის საკითხები რეგულირდება უშუალოდ კონსტიტუციით. „თურქეთის კონსტიტუციის თანახმად: „საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეაფასოს ნორმის კონსტიტუციურობა, როგორც მისი ფორმის, ასევე შინაარსის თვალსაზრისით“.[5] ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ თურქეთში „1971 წელს განხორციელებული კონსტიტუციური ცვლილებებით [საკონსტიტუციო სასამართლოს] შეეზღუდა კონსტიტუციური კანონის მატერიალური კონტროლის უფლება.“[6] თუმცა, ამავდროულად, კონსტიტუციაშივე გაიწერა, რომ „კონსტიტუციური ცვლილება შეიძლება შემოწმდეს მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით“.[7] საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობა მსგავს ჩანაწერს არ შეიცავდა და დღესაც არ შეიცავს. სწორედ ეს ბუნდოვანება ქმნიდა კონსტიტუციური კანონის ფორმალური კონტროლის თაობაზე განსხვავებული შეხედულებების წარმოშობის საფუძველს.

უკანასკნელ წლებში ფორმალური კონსტიტუციური კონტროლის უფლებამოსილების კვლევამ კიდევ უფრო მეტი დატვირთვა შეიძინა. 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ მუდმივი განხილვის საგანია ის ფაქტი, რომ რეფორმის შედეგად შემცირდა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია. როგორც ჯ. ხეცურიანი აღნიშნავ: „ერთ-ერთი უფლებამოსილება, რომელიც გამოაკლდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ნორმათა ფორმალური კონტროლია.“[8] ამ ცვლილებას ჯ. ხეცურიანი უარყოფითად აფასებს. მის სტატიაში ვკითხულობთ: „საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის ამოქმედების შემდეგ, შეიძლება შეიქმნას სიტუაცია, როდესაც პარლამენტის რომელიმე საკანონმდებლო აქტი, ან ნორმატიული დადგენილება თავისი შინაარსით კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგებოდეს, მაგრამ, ამასთანავე, დარღვეული იყოს მისი მიღებისა და ამოქმედებისათვის კონსტიტუციით დადგენილი წესები. სამწუხაროდ, საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმი ასეთი შემთხვევებისთვის აღარ იარსებებს ..., ამიტომ, მიზანშეწონილი არ იყო ამ უფლებამოსილების ჩამორთმევა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის.“[9]

ეს საკითხი თავისი აქტუალურობის გამო განხილვის ობიექტი გახდა 2019 წელს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების საპარლამენტო მოსმენის დროსაც. ევროპული საქართველოს დეპუტატმა ოთარ კახიძემ მოსამართლეობის კანდიდატ თამარ ალანიას დაუსვა შემდეგი შინაარსის შეკითხვა: „საკონსტიტუციო სასამართლოს ჰქონდა ნორმის ფორმალური კონსტიტუციური კონტროლის საშუალება და ეს ფორმალური კონსტიტუციური საშუა-

5 Başlar, K. and Tülen, H., 2004. The Constitutional Court: 1962-2003 An Introduction to the Composition and Functions of the Constitutional Court of the Republic of Turkey. გვ. 4. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.anayasa.gen.tr/baslar1-text.pdf> [წვდომის თარიღი 23 ოქტომბერი 2020].

6 Köybaşı, S., 2016. Developments in Turkish Constitutional Law: The Year 2016 in Review. Blog of the International Journal of Constitutional Law I-CONnect. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://www.iconnectblog.com/2017/12/turkey-2016-review/> [წვდომის თარიღი 31 ოქტომბერი 2020].

7 Başlar, K. and Tülen, H., 2004. The Constitutional Court: 1962-2003 An Introduction to the Composition and Functions of the Constitutional Court of the Republic of Turkey. გვ. 4. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.anayasa.gen.tr/baslar1-text.pdf> [წვდომის თარიღი 23 ოქტომბერი 2020].

8 ხეცურიანი, ჯ., 2018. საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში (2017 წ.) და საკონსტიტუციო სასამართლო. საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, გამოცემა 1, გვ. 37.

9 იქვე. გვ. 38.

ლება საკონსტიტუციო სასამართლოს აღარ აქვს. ამას, როგორც იურისტი, პოზიტიურ, წინგადადგმულ ნაბიჯად აფასებთ თუ შედარებით ნეგატიურ მოვლენად?"[10]

ყოველივე ეს ნათლად წარმოაჩენს ფორმალური საკონსტიტუციო კონტროლის საკითხის აქტუალურობას და განაპირობებს მისი შესწავლის აუცილებლობას.

მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოერთვა ფორმალური კონტროლის შესაძლებლობა, ეყრდნობა შემდეგ გარემოებებს: 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამდე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებებს განამტკიცებდა საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლი, რომლის „ზ" ქვეპუნქტი ადგენდა: „[საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო] ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით და ორგანული კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს". სწორედ ორგანული კანონი, რომელზეც რეფერირებდა კონსტიტუცია, საკონსტიტუციო სასამართლოს კონკრეტულ შემთხვევებში ანიჭებდა ფორმალური კონტროლის განხორციელების უფლებამოსილებას. საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები ამომწურავად განისაზღვრება მხოლოდ კონსტიტუციით. ამ გარემოებაზე დარყდნობით არაერთი იურისტი მიუთითებს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაკარგა ფორმალური კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება, ვინაიდან, როგორც ბ. ლოლაძე აღნიშნავს, „სასამართლოს უფლებამოსილებათა ჩამონათვალი არ ითვალისწინებს ფორმალურ კონტროლს."[11] ანალოგიურად, გ. კახიანი 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამდე მოქმედი კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესახებ წერდა, რომ, ის მხოლოდ მატერიალური კონტროლის განხორციელების უფლებას მოიცავდა.[12]

მოცემული სტატიის ერთ-ერთი ამოცანაა საკითხის სხვა რაკურსით დანახვა და იმის ილუსტრირება, რომ ორგანული კანონის სრული იგნორირების შემთხვევაშიც კი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, კონსტიტუციის ინტერპრეტაციის ძალით, კონსტიტუციის მოქმედ რედაქციაშიც შეუძლია ამოიკითხოს ფორმალური კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება არა მხოლოდ აბსტრაქტული კონტროლის დროს, არამედ სხვა კომპეტენციების ფარგლებშიც.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ „ბუნდოვანი სამართლებრივი ნორმები საკონსტიტუციო სამართალში უფრო ხშირადაა, ვიდრე ზოგადად სამართალში"[13] და

10 ალანია, თ., 2019. საკონსტიტუციო ცვლილებებიდან პრობლემურად ვერცერთს დავასახელებ. ტაბულა. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://www.tabula.ge/ge/story/156169-tamar-alania-sakonstitucio-cvlilebebidan-problemurad-vercerts-davasaxeleb> [წვდომის თარიღი 31 ოქტომბერი 2020].

11 ლოლაძე. ბ., 2014. კონსტიტუციური ცვლილებების კონსტიტუციურობის კონტროლის პერსპექტივა საქართველოში. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.emc.org.ge/ka/products/konstitutsiis-tsvlilebebis-konstitutsiurobis-kontrolis-perspektiva-sakartveloshi> [წვდომის თარიღი 31 ოქტომბერი 2020].

12 კახიანი, გ., 2008. საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 124.

13 გრიმი, დ., 2019. რა არის პოლიტიკური საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაში. კონსტიტუციონალიზმი მიღწევები და გამოწვევები. თბილისი: უნივერსალი, გვ. 183.

„თავად კონსტიტუცია ყველასათვის საჭიროებს განმარტებას“.[14] თანამედროვე ეტაპზე სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოა ის ორგანო, რომელიც განმარტავს კონსტიტუციურ ნორმებს და „არა მხოლოდ განსაზღვრავს კონსტიტუციისა თუ განსახილველი კანონმდებლობის ნორმის შინაარსს, არამედ ადგენს იმ ინსტიტუციურ სტანდარტს, რომელსაც სახელმწიფო ორგანოებმა უნდა მისდიონ“.[15] მეტიც, აშშ-ს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, ჩარლზ ევანს ჰიუზის, სიტყვებით: „კონსტიტუცია არის ის, რასაც მოსამართლეები იტყვიან მასზე“.[16] შესაბამისად, კონსტიტუციის ნამდვილი არსის შემეცნების პროცესში საკონსტიტუციო სასამართლოს განსაკუთრებული როლი აკისრია. სწორედ ამ განსაკუთრებული როლიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური ნორმის განმარტების გზით შეუძლია საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლების დაზუსტება, მათ შორის ფორმალური კონსტიტუციური კონტროლის უფლებამოსილების აღიარება, თუმცა ამისათვის მას ესაჭიროება მორალური მზაობა და სამართლებრივი საფუძველი. სწორედ ამიტომ, განსახილველი საკითხის ჭრილში, კვლევის პირველი ობიექტია თამამი გადაწყვეტილებების მისაღებად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მორალური მზაობის ხარისხი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და განჩინებებში ვხვდებით გაუმართლებელი თვითშეზღუდვის ცალკეულ მაგალითებს. ეს, პირველ რიგში, შეეხება სწორედ იმ შემთხვევებს, როდესაც საკითხი ეხება სასამართლოს მიერ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლების დადგენას. მაგალითად: 1999 წლის 30 ნოემბრის N116 განჩინებაში საკონსტიტუციო სასამართლომ არ გამოიყენა დისკრეცია, ფართოდ განემარტა ტერმინი „სასამართლო“ და მასში მოეაზრებინა საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლე. სწორედ ამ საფუძვლის თანახმად მოსამართლე მიჩნიეს არაუფლებამოსილ სუბიექტად და მისი კონსტიტუციური წარდგინება არსებითად არ განიხილეს. ეს მიდგომა გაუმართლებელ თვითშეზღუდვად შეფასდა: თ. ურუშაძის, ბ. კოჭლამაზაშვილის, თ. ქალდანისა და სხვა კონსტიტუციონალისტების მხრიდან. გაუმართლებელი თვითშეზღუდვის სწორედ ასეთი ფაქტების გამო ქ. ერემაძემ თავის სტატიაში აღნიშნა: „საკონსტიტუციო სასამართლო არ უნდა მოქმედებდეს თვითშეზღუდვის გზით, ეს არა მხოლოდ მის განვითარებას არ შეუწყობს ხელს, არამედ საგრძნობლად გაართულებს იმ მიზნების მიღწევას, რისთვისაც ეს ინსტიტუტი არსებობს“.[17]

მიუხედავად გაუმართლებელი თვითშეზღუდვის ცალკეული ფაქტების არსებობისა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ თვალსაზრისით ცალსახად დადებითი ტენდენცია შეიმჩნევა. სწორედ ამაზე მიუთითებს დ. გეგენავაც თავის სტატიაში, რომელშიც ვკითხულობთ: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დიდი ხნის განმავლობაში უფრთხოდა საკუთარი უფლებამოსილებების გაფართოებას და სამწუხაროდ, კომპეტენციურ კასტრაციასაც კი ახდენდა. ...

14 პინელი, ჩ., 1997. საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციები, მოსამართლეების არჩევა. ადამიანი და კონსტიტუცია, 1, გვ. 37.

15 გეგენავა, დ., 2018. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო: პოზიტიური კანონმდებლობის მცდელობა და გამოწვევები. ლადო ჭანტურია 55. თბილისი: დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, გვ. 120.

16 ტუღუში, თ. და სხვები, 2013. ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა. თბილისი: GIZ. გვ. 15.

17 ერემაძე, ქ., 2013. კონსტიტუციური კანონის კონსტიტუციურობის შეფასების პერსპექტივები. ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა, გვ. 78.

თუმცა ბოლოდროინდელმა გადაწყვეტილებებმა მნიშვნელოვნად შეცვალა პრაქტიკა, რითაც სასამართლომ არა მხოლოდ უბრალოდ გაბედულად იმოქმედა, არამედ გარკვეული თვალსაზრისით, კომპეტენციური რევოლუციაც კი მოახდინა."[18] აღნიშნულის საილუსტრაციოდ ქართველი კონსტიტუციონალისტები, მათ შორის: ა. ფირცხალაშვილი და დ. გეგენავა, მიუთითებენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკუთარი პრაქტიკის საფუძველზე ისეთი უფლებამოსილების აღიარების ფაქტზე, როგორიცაა: – ნორმის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის შემოწმების უფლებამოსილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ თანამედროვე ეტაპზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მორალურად მეტ-ნაკლებად მზად არის გაბედული გადაწყვეტილებების მისაღებად. თუმცა, ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს მის სრულ თავისუფლებას: „სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის არსიდან გამომდინარე, ... ხელისუფლების არცერთ ორგანოს, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოს, არ გააჩნია „კომპეტენციის მინიჭების კომპეტენცია",[19] რაც ნიშნავს იმას, რომ საკონსტიტუციო სასამართლო საკუთარ თავს ვერ მიანიჭებს იმ უფლებამოსილებას, რომელიც მას კონსტიტუციიდან გამომდინარე არ გააჩნია. შესაბამისად, აუცილებელია კონსტიტუციის დებულებების ანალიზი და იმის გამორკვევა, თუ რამდენად იძლევა საქართველოს კონსტიტუცია ფორმალური კონტროლის განხორციელების უფლებამოსილების დანახვის საფუძველს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის მე-60 მუხლის მეოთხე პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად: „[საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო] ფიზიკური პირის, იურიდიული პირის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობას";[20] ამავე მუხლის „ბ" ქვეპუნქტი კი ადგენს: „[საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო] საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან მთავრობის სარჩელის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხზე."[21] ამ დებულებების მსგავსად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა კომპეტენციების დადგენისასაც საქართველოს კონსტიტუცია იყენებს ტერმინებს: „კონსტიტუციურობა", „კონსტიტუციასთან შესაბამისობა" და სხვ. ამდენად, თითოეულ შემთხვევაში, საქართველოს კონსტიტუცია საკონსტიტუციო სასამართლოს ანიჭებს ნორმის კონსტიტუციურობის შეფასების უფლებას ზოგადად და არა მხოლოდ შინაარსობრივ ჭრილში. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს სრული სამართლებრივი საფუძველი ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმების უფლებამოსილების ქვეშ მოიაზროს როგორც ნორმის მატერიალური, ასევე მისი ფორმალური კონტროლი. მეტიც, ეს იქნება ამ ნორმე-

18 გეგენავა, დ., 2018. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო: პოზიტიური კანონმდებლობის მცდელობა და გამოწვევები. ლადო ჭანტურია 55. თბილისი: დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, გვ. 124.

19 ფირცხალაშვილი, ა., 2017. საკონსტიტუციო სასამართლოს რეალური კონტროლი კვლავ კონსტიტუციის გადასინჯვის მიღმა. აკადემიური მაცნე. სპეციალური გამოცემა. თბილისი: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ.11.

20 მუხლი 60 (4,ა), საქართველოს კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [წვდომის თარიღი 23 ოქტომბერი 2020].

21 იქვე. მუხლი 60 (4,ბ).

ბის განმარტების ერთადერთი სწორი გზა, ვინაიდან, „კონსტიტუციის უზენაესობის დაცვა სასამართლოს უფლებას კი არ წარმოადგენს, ის მისი ვალდებულებაა."[22] ამ ვალდებულების შესრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ მოხდება საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც კონსტიტუციის უზენაესობის დამცველის, არსის სრულყოფილი რეალიზება. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1999 წელს გამოცემულ წიგნში – „The Constitutional Review and its Development in the Modern World" – ავტორები მიუთითებდნენ, რომ „კონსტიტუციური კონტროლის განხორციელებისას აუცილებელია, გარკვეული დაუწერელი წესების დაცვა."[23] ამ დაუწერელი წესების ერთ-ერთ გამოვლინებად ისინი მიიჩნევდნენ საკონსტიტუციო სასამართლოს ვალდებულებას, შეაფასოს ნორმის არაკონსტიტუციურობა არა მხოლოდ შინაარსობრივ ჭრილში, არამედ, ასევე, კონსტიტუციასთან ფორმალური შესაბამისობის ჭრილში[24]. მართლაც, კონსტიტუციური კონტროლი სრულყოფილი ვერ იქნება ფორმალური კონტროლის უფლებამოსილების გარეშე, რომლის ამოკითხვაც საქართველოს კონსტიტუციაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, სავსებით შესაძლებელია.

ფორმალური კონტროლის განხორციელების შესაძლებლობის სამართლებრივი საფუძვლის წარმოჩენის პარალელურად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში იკვეთება ფორმალური კონტროლის სრული მოცულობით დამკვიდრების ტენდენცია. მაგალითისათვის, თავდაპირველად, საკონსტიტუციო სასამართლო სრულად გამორიცხავდა ფორმალური კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ შეტანილი სარჩელის შემთხვევაში. 2003 წლის 17 ნოემბრის N2/18/255 განჩინებით საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად არ მიიღო საქმე იმ მოტივით, რომ მოსარჩელე პირს, ვახტანგ სამხარაძეს, არ გააჩნდა, ფორმალური კონტროლის განხორციელების მოთხოვნით, კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლებამოსილება, რადგან საქართველოს კანონმდებლობა ფორმალურ საკითხებზე სარჩელის შეტანის უფლებას აძლევდა მხოლოდ სპეციალურ სუბიექტებს. ანალოგიური საფუძვლით არ მიიღო სასამართლომ არსებითად განსახილველად N244 სარჩელი.[25] აღნიშნულის საპირისპირო მიდგომას ვხვდებით გვიანდელ განჩინებებში. საქმეში „საქართველოს მოქალაქეები – ირმა ინაშვილი, დავით თარხან მოურავი და იოსებ მანჯავიძე – საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", მოსარჩელეები აცხადებდნენ, რომ: „სადავო ნორმის საქართველოს კონსტიტუციასთან შინაარსობრივი შესაბამისობის შეფასების გარდა, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, გაარკვიოს დაცული იყო თუ არა კონსტიტუციური კანონის მიღების საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი

22 Herzog, P., 1993. Japan's Pseudo-Democracy. Published by NYU Press, გვ. 39.

23 Haratyunyan, G. and Mavcic, A., 1999. The Constitutional Review and its Development in the Modern World. Publisher: Yerevan – Lyblyana. Chapter VII. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://www.concourt.am/Books/harutunyan/monogr3/book.htm> [წვდომის თარიღი 31 ოქტომბერი 2020].

24 Haratyunyan, G. and Mavcic, A., 1999. The Constitutional Review and its Development in the Modern World. Publisher: Yerevan – Lyblyana. Chapter VII. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://www.concourt.am/Books/harutunyan/monogr3/book.htm> [წვდომის თარიღი 31 ოქტომბერი 2020].

25 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 სექტემბრის განჩინება (საქმე N2/14/244).

ფორმალური წესი."[26] აღნიშნულთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ დააფიქსირა შემდეგი პოზიცია: „საკონსტიტუციო სასამართლო არ გამორიცხავს საკუთარ უფლებამოსილებას, დაადგინოს, რამდენად იყო დაცული კონსტიტუციური კანონის მიღების კონსტიტუციით გათვალისწინებული წესი. ... კონსტიტუციაში დადგენილი მოთხოვნების, წესების პატივისცემა, მათი განუხრელი დაცვა კონსტიტუციური წესრიგის უზრუნველყოფას ემსახურება. სწორედ ამიტომ, პარლამენტის კანონშემოქმედებითი საქმიანობა კონსტიტუციით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით უნდა წარიმართოს".[27]

ამდენად, კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზიდან გამომდინარე, ნათელია, რომ არსებობს როგორც მზაობა და სამართლებრივი საფუძველი, ასევე მისწრაფება ფორმალური კონტროლის სრული მოცულობით დამკვიდრებისკენ. სასურველია, ეს ტენდენცია შენარჩუნდეს და საკონსტიტუციო სასამართლომ პრაქტიკით დაამკვიდროს სრული ფორმალური კონტროლი, როგორც მისი უფლებამოსილების ერთ-ერთი სახე.

ცხადია, დღეის მდგომარეობით, შესაბამისი პრაქტიკის არარსებობის გამო, ძნელია დაბეჯითებით იმის მტკიცება, აღიარებს თუ არა საკონსტიტუციო სასამართლო ფორმალური კონტროლის უფლებამოსილებას სრული მოცულობით, თუმცა, გარკვეული დოზით ფორმალური კონტროლი დღესაც ხორციელდება. სადავო ნორმის ფორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმება შესაძლებელია, მივიჩნიოთ, როგორც ფორმალური კონტროლის განხორციელების ერთი-ერთი სახე. საკონსტიტუციო სასამართლო სწორედ აღნიშნულ ტერმინს იყენებს ამ უფლებამოსილების აღწერისათვის. 2019 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „კონკრეტული ნორმის საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება გულისხმობს მის არა მხოლოდ შინაარსობრივ – მატერიალური, არამედ, აგრეთვე, ფორმალური კუთხით კონსტიტუციურობის შემოწმებას."[28] „საკანონმდებლო ხელისუფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი შეზღუდვა გულისხმობს, რომ ნებისმიერი საკანონმდებლო აქტი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს, როგორც ფორმალური, ისე მატერიალური თვალსაზრისით".[29]

გამოცემის ფორმის თვალსაზრისით ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმება უცხო არ იყო საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის საწყის ეტაპზეც, თუმცა პრეცენდენტული მნიშვნელობის გადაწყვეტილებები ძირითადად გამოიცა უკანასკნელ წლებში, რაც განაპირობებს ამ პრაქტიკის ანალიზისა და სისტემატიზაციის აუცილებლობას. სტატიის მეორე ნაწილში წარმოდგენილია სწორედ ამ მიმართულებით არსებული პრაქტიკის სისტემური ანალიზის შედეგები.

26 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის განჩინება (საქმე N1/1/549).

27 იქვე.

28 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება (საქმე N2/2/867).

29 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე N3/1/659).

2. საკითხის კანონით ან ორგანული კანონით მოწესრიგების ფორმალური მოთხოვნის არსი

საქართველოს კონსტიტუციის დებულებები გარკვეულ შემთხვევებში განსაზღვრავენ, რომ ადამიანის ძირითადი უფლებებისა თუ თავისუფლებების შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ კონკრეტული სამართლებრივი ფორმის დაცვით,[30] მაგალითისთვის: მხოლოდ კანონით, ან მხოლოდ ორგანული კანონით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, როდესაც საქართველოს კონსტიტუცია აწესებს კონკრეტული საკითხის კანონით/ორგანული კანონით მოწესრიგების ფორმალურ მოთხოვნას, მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, როდესაც: 1) საკითხი უშუალოდ მოწესრიგებულია კანონით; 2) კანონმდებელმა კანონის საფუძველზე მოახდინა საკითხის მოწესრიგების უფლებამოსილების დელეგირება სხვა კომპეტენტურ ორგანოზე.

2.1. საკითხის უშუალოდ კანონით მოწესრიგების მოთხოვნის არსი

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუცია რიგ შემთხვევებში ადგენს, რომ ადამიანის ძირითადი უფლებებისა თუ თავისუფლებების შეზღუდვა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ კონკრეტული ფორმით. როდესაც უფლების შემზღუდველი ნორმატიული აქტი გამოცემულია უშუალოდ იმ ფორმით, რომელზეც მიუთითებს კონსტიტუცია, ფორმალური მოთხოვნა ცალსახად დაკმაყოფილებულია. მეტიც, როდესაც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ტექსტი იმეორებს საკანონმდებლო აქტის ტექსტს, ამ შემთხვევაშიც საკითხი უშუალოდ კანონით მოწესრიგებულად მიიჩნევა. მსგავსი შემთხვევა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის ობიექტი გახდა N2/6/1311 საქმეში, რომელშიც სასამართლომ დაადგინა: „უფლების კანონით შეზღუდვის მოთხოვნის უმთავრესი მიზანია, უზრუნველყოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ უფლებამოსილების თვითნებურად, ბოროტად გამოყენების პრევენცია. ... თუმცა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საკითხის მოწესრიგებისას ზემოაღნიშნული რისკები გამოირიცხება იმ შემთხვევაში, როდესაც ძირითადი უფლებების შემზღუდველ კანონქვემდებარე სამართლებრივ აქტში არსებული რეგულაცია ზუსტად იმეორებს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ საკანონმდებლო აქტში მითითებული რეგულაციის შინაარსს/ტექსტს. მსგავს შემთხვევებში უფლების შეზღუდვის საფუძველი, შინაარსი და ფარგლები განისაზღვრება საქართველოს კანონით.“[31]

2.2. საკითხის მოწესრიგების უფლებამოსილების დელეგირების კონსტიტუციურობის კრიტერიუმები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საკითხის კანონით/ორგანული კანონით მოწესრიგების ფორმალურ მოთხოვნას არ ეწინააღმდეგება ამ საკითხის უფლებამოსილების სხვა ორგანოზე დელეგირება. უფრო მეტიც, აღნიშნული ხშირად აუცილებელია და პრაქტიკული საჭიროებებით არის ნაკარნახევი. „გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ და გერმანელმა მეცნიერებმა

30 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე N2/6/1311).

31 იქვე.

შეიმუშავეს თანმიმდევრული დოქტრინა საკანონმდებლო უფლებამოსილების აღმასრულებელ ხელისუფლებაზე დელეგირების მიზნისა და ფუნქციის შესახებ. ამ დოქტრინის თანახმად ასეთ დელეგირებას აქვს საფუძველი, როდესაც ის ემსახურება პარლამენტის განტვირთვას პოლიტიკურად ნაკლებად მნიშვნელოვანი და ეფემერული საკითხებისაგან ან წმინდა ტექნიკური დეტალებისაგან."[32] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომაც არაერთხელ განმარტა, რომ საკითხის კანონით რეგულირება ქმნის სტაბილურობის უფრო მაღალ გარანტიებს, თუმცა ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტა საჭიროებს მოქნილ საკანონმდებლო მექანიზმს. ამ თვალსაზრისით უფლებამოსილების დელეგირება ხელს უწყობს მარტივ ნორმატიულ ცვლილებებს იმ სფეროებში, რომლებიც მოითხოვს ხშირ მოდიფიკაციას, გამარტივებული პროცედურების საფუძველზე რეგულირების შეცვლილ გარემოებებზე მორგებას.[33] მეტიც, უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული ყველა საკითხის საქართველოს პარლამენტის მიერ მოწესრიგებამ, შესაძლოა, საკანონმდებლო ხელისუფლების პარალიზება/შეფერხება გამოიწვიოს და წარმოშვას ინსტიტუციური პრობლემები.[34]

სწორედ ამ მიზეზების გამო, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საკითხის მოწესრიგების უფლებამოსილების დელეგირება არაერთ საქმეში მიიჩნია კონსტიტუციურად. თუმცა, ცხადია, უფლებამოსილების დელეგირებას გარკვეული რისკებიც ახლავს. „ზოგადად, ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს წინაშე დგას კანონმდებლობის შემუშავების, დელეგირებისა და აღსრულების პრობლემები. ... ამასთან, ერთმანეთის მსგავს პრობლემებზე შესაძლოა შემუშავდეს განსხვავებული პასუხები."[35] სტატია მიზნად ისახავს, წარმოჩინდეს, როგორია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პასუხი დელეგირებასთან დაკავშირებულ საფრთხეებზე და დღეის მდგომარეობით როგორია საქართველოში დელეგირების კონსტიტუციური სტანდარტი.

2.2.1 დელეგირების ფორმალურ-ტექნიკური მოთხოვნები

დელეგირების საკითხის კონსტიტუციურობის გარკვევის პირველი ეტაპია წმინდა ფორმალურ-ტექნიკური საკითხების შემოწმება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის სისტემური და ლოგიკური ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ ტექნკურ-ფორმალური თვალსაზრისით დელეგირება კონსტიტუციურია თუ:

1. დელეგირება განხორციელდა კანონის საფუძველზე;
2. კანონმდებელმა კანონითვე განსაზღვრა ის კომპეტენტური ორგანო, რომელსაც გადასცა საკითხის მოწესრიგების უფლებამოსილება;
3. პარლამენტის მხრიდან ადგილი არ ჰქონია უფლებამოსილების საკუთარ თავზე დელეგირებას;

32 Ziamou, T., 2000. Public Participation in Administrative Rulemaking: The Legal Tradition and Perspective in the American and European (English, German, Greek) Legal Systems. Heidelberg Journal of International Law (HJIL). Vol. 60. გვ. 55. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.zaoerv.de/60_2000/60_2000_1_a_41_102.pdf> [წვდომის თარიღი 23 ოქტომბერი 2020].

33 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება (საქმე N1/7/1275).

34 იქვე.

35 Rose-Ackerman, S., 2010. Regulation and Public Law in Comparative Perspective. The University of Toronto Law Journal, 60 (2), გვ. 534. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.jstor.org/stable/40801417?seq=1> [წვდომის თარიღი 23 ოქტომბერი 2020].

4. დელეგირება არ არის აკრძალული კონსტიტუციით.

თითოეული ეს კრიტერიუმი არცთუ იშვიათად ხდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის ობიექტი. შესაბამისად, სასურველია გაანალიზდეს თითოეული მათგანი.

2.2.1.1 დელეგირების კანონის საფუძველზე განხორციელების მოთხოვნა.

დელეგირებისკონსტიტუციურადმიჩნევისათვის საკითხის მოწესრიგების უფლებამოსილების დელეგირება აუცილებლად უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო აქტის საფუძველზე. უფლებამოსილების კანონის/ორგანული კანონის საფუძველზე დელეგირების ფაქტის დადასტურება, კანონქვემდებარე აქტის პრეამბულაზე დაყრდნობით, როგორც წესი, საკმაოდ მარტივია. თუმცა, თავის მხრივ, დელეგირების დამდგენი დანაწესის არსებობა აპრიორი დელეგირების კონსტიტუციურობას არ გულისხმობს და ის ხშირად დამოუკიდებელი შესწავლის ობიექტია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში არის არაერთი შემთხვევა, რომლითაც დადგინდა, რომ კანონქვემდებარე ნორმატიულ – სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძვლად მითითებული საკანონმდებლო ნორმა რეალურად არ წარმოადგენდა საკითხის მოწესრიგების, უფლებამოსილების დელეგირების საფუძველს, ვინაიდან, მითითებული ნორმა შინაარსობრივად არ მიემართებოდა უფლებამოსილების დელეგირებისკენ ან სადავო, კანონქვემდებარე ნორმით დარეგულირებული საკითხები განსხვავდებოდა იმ საკითხებისგან, რომლებსაც ითვალისწინებდა დელეგირების უფლებამოსილების დამდგენი საკანონმდებლო ნორმა. მაგალითად: საქმეში – „ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა უფლებამოსილების დელეგირების სამართლებრივ საფუძვლად რამდენიმე საკანონმდებლო ნორმაზე მიუთითა, მათ შორის, „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „მ“ ქვეპუნქტზე. საკონსტიტუციო სასამართლომ შეისწავლა დასახელებული პუნქტი და დაადგინა, რომ სახეზე იყო შემთხვევა, როდესაც დელეგირების საფუძვლად მითითებული ნორმა შინაარსობრივად საერთოდ არ შეეხებოდა დელეგირებას. გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველო კანონის მე-3 მუხლის „მ“ ქვეპუნქტი ადგენს ტერმინს – „რეგულირების“ საკანონმდებლო დეფინიციას და მისი მოწესრიგების სფერო ამით ამოიწურება. ... აღნიშნული ნორმა არ ითვალისწინებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისათვის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის უფლებამოსილების დელეგირებას.“[36]

ამავე საქმეში დაფიქსირდა ისეთი შემთხვევაც, როდესაც კანონმდებლობა ითვალისწინებდა გარკვეული საკითხების მოწესრიგების უფლებამოსილების დელეგირებას, მაგრამ დელეგირებული უფლებამოსილება არ მოიცავდა იმ საკითხებს, რომელთა მოწესრიგებაც მოხდა სადავო კანონქვემდებარე აქტით. კერძოდ, მოცემულ საქმეში სადავო კანონქვემდებარე აქტით განისაზღვრა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოს პარლამენტს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის უფლებამოსილება არ გადაუცია და განმარტა: „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებს და მომხ-

36 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება (საქმე N1/7/1275).

მარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტს განსაზღვრავს კომისია ნორმატიული აქტით. ამავე კანონის 64-ე მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას დაევალა „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტის“ დამტკიცება. აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, უდავოა, რომ საქართველოს პარლამენტმა კომისიას მიანიჭა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ნორმატიული წესრიგის დადგენის უფლებამოსილება. ... არცერთი მათგანი [მუხლი 62-ე და მუხლი 64-ე], ირიბადაც კი, არ მიუთითებს, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვაში ან/და მომსახურების მიწოდების პირობებში „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი მოიაზრებს გამოხატვის თავისუფლების რეგულირებას. ... წარმოდგენილი არგუმენტაციიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს პარლამენტს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის, სადავო საკითხთან დაკავშირებით, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის უფლებამოსილება არ გადაუცია.“[37]

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონის საფუძველზე დელეგირების კრიტერიუმის დაკმაყოფილებისათვის, აუცილებელია, კუმულაციურად დაცული იყოს ორივე მოთხოვნა:

1. უნდა არსებობდეს კანონი/ორგანული კანონი, რომლითაც კონკრეტული საკითხის/საკითხების რეგულირების უფლებამოსილება გადაეცემა სხვა ორგანოს/თანამდებობის პირს;
2. კანონქვემდებარე აქტით უნდა დარეგულირდეს ზუსტად ის საკითხები, რომლებზეც არის მითითება საკანონმდებლო აქტში.

2.2.1.2 დელეგირების ფარგლებში შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს კანონითვე განსაზღვრის ვალდებულება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესწავლა იძლევა საფუძველს, დავასკვნათ, რომ აღნიშნული კრიტერიუმის ფარგლებში ნორმა, რომლითაც ხდება გარკვეული საკითხების მოწესრიგების უფლებამოსილების დელეგირება, კუმულაციურად უნდა აკმაყოფილებდეს ორ მოთხოვნას:

1. დელეგირების დამდგენი კანონი უნდა განსაზღვრავდეს იმ ორგანოს/თანამდებობის პირს, რომელსაც გადაეცემა საკითხის მოწესრიგების უფლებამოსილება;
2. კანონით განსაზღვრული ეს ორგანო/თანამდებობის პირი უნდა იყოს კომპეტენტური.

კონკრეტული ორგანოს/თანამდებობის პირის მითითების გარეშე საკითხის მოწესრიგების უფლებამოსილების დელეგირება ცალსახად არაკონსტიტუციურია. რაც შეეხება მეორე მოთხოვნას, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ამ ეტაპისთვის არ დაფიქსირებულა შესაბამისი ორგანოს არაკომპეტენტურობის გამო საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დელეგირების არაკონსტიტუციურად ცნობის ფაქტი, თუმცა გადაწყვეტილებათა სამოტივაციო ნაწილში საკონსტიტუციო სასამართლო ხშირად აღნიშნავს, რომ იმ ორგანოს კომპეტენტურობა, რომელსაც გადაეცა საკითხის მოწესრიგების უფლებამოსილება, ეჭვს არ იწვევს. აღნიშნული იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ, თუ დადასტურდა იმ ორგანოს არაკომპეტენტურობა, რომელზეც მოხდა უფლებამოსილების დელეგირება, ეს შესაძლოა გახდეს დელეგირების არაკონსტიტუციურად მიჩნევის საფუძველი.

37 იქვე.

2.2.1.3 უფლებამოსილების საკუთარ თავზე დელეგირების დაუშვებლობა.

აღნიშნული კრიტერიუმი აქტუალურია იმ შემთხვევაში, როდესაც კონსტიტუციით განისაზღვრება, რომ კონკრეტული საკითხი უნდა დარეგულირდეს ორგანული კანონით. ასეთ შემთხვევაში პარლამენტს არ აქვს უფლება, საკუთარ თავზე მოახდინოს უფლებამოსილების დელეგირება. ეს ცალსახად შეფასდება, როგორც კონსტიტუციით დადგენილი ფორმლური მოთხოვნის დარღვევა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 2017 წლის 16 ნოემბრის N2/5/658 გადაწყვეტილებაში, საქმეზე საქართველოს მოქალაქე, ომარ ჯორბენაძე, საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა: „ორგანული კანონი, თავისი არსით, განსაკუთრებული მნიშვნელობის სამართლებრივ აქტს წარმოადგენს. ... განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისი მიღებისათვის განსხვავებული, ჩვეულებრივ კანონთან შედარებით, მაღალი ლეგიტიმაცია არის მოთხოვნილი. ... აღნიშნულის მიზანია, კონსტიტუციითვე განსაზღვრულ საკითხებზე პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისას არსებობდეს ხალხის მიერ არჩეულ წარმომადგენელთა შორის ფართო კონსენსუსი. ... ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ამა თუ იმ საკითხის ორგანული კანონით, ან კანონით მოწესრიგებაზე მითითება, თავისთავად, არ გამორიცხავს პარლამენტის შესაძლებლობას, მოახდინოს საკითხის რეგულირების უფლებამოსილების დელეგირება სხვა ორგანოზე. ... ამდენად, კონკრეტული საკითხის ორგანული კანონით მოწესრიგებაზე მითითება, სრულად არ გამორიცხავს ამ სფეროს რეგულირების პროცესში პარლამენტის გარდა სხვა ორგანოების ჩართულობას. თუმცა ხსენებული მსჯელობა არ გამოდგება ორგანული კანონით მოსაწესრიგებელი საკითხების კანონით მოწესრიგების გასასამართლებლად, თუნდაც კონკრეტული საკითხის კანონით მოწესრიგების შესაძლებლობაზე თავად ორგანული კანონი მიუთითებდეს. კონსტიტუციურ ლოგიკას სრულიად მოკლებულია პარლამენტის მიერ ორგანული კანონით მოსაწესრიგებელი საკითხების შედარებით დაბალი ლეგიტიმაციის აქტით მოწესრიგების უფლებამოსილების „საკუთარ თავზე დელეგირება“.[38]

2.2.1.4 დელეგირება აკრძალულია კონსტიტუციით.

დელეგირების აკრძალვის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ 01/07/2004 წლის კონსტიტუციური კანონი, რომლის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენდა: „დაუშვებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული უფლებამოსილებების დელეგირება“.[39] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ საქართველოს კონსტიტუციური კანონის მოქმედი რედაქცია, ისევე როგორც საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქცია, აღარ შეიცავს ნორმებს, რომლებიც პირდაპირ კრძალავს დელეგირებას. შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის დღეისათვის მოქმედი რედაქციის ფარგლებში ეს კრიტერიუმი აღარ არის აქტუალური.

38 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე N2/5/658).

39 მუხლი 6(3), საქართველოს კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ. [ინტერნეტი]. ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/30442?publication=3> [წვდომის თარიღი: 23 ოქტომბერი 2020].

2.2.2 დელეგირების კონსტიტუციურობის შინაარსობრივი კრიტერიუმები

დელეგირების შინაარსობრივ კრიტერიუმზე მსჯელობისას საინტერესოა გერმანიის მაგალითი: „პირველი საკითხი, რომელსაც გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო დელეგირების პროცესის შეფასებისას განიხილავს, არის ის, საერთოდ დასაშვებია თუ არა დელეგირება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საკითხი სრულად უნდა დარეგულირდეს პარლამენტის მიერ, თუ შესაძლებელია მისი რეგულირების უფლებამოსილების ადმინისტრაციულ – სამართალშემოქმედზე დელეგირება. ... თუ პასუხი დადებითია, საკონსტიტუციო სასამართლო სვამს შეკითხვას: – გადაწყვეტილების მიღების პროცესში რა მოცულობის ძალაუფლება შეიძლება გადაეცეს ადმინისტრაციულ ორგანოს?“[40] ამ მიდგომის მსგავსია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაც. დელეგირებული საკითხების შინაარსის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს იმ საფუძვლებს, რომელთა არსებობისას დელეგირება არაკონსტიტუციურად მიიჩნევა. კერძოდ, დელეგირება დაუშვებელია თუ:

1. დელეგირებით საქართველოს პარლამენტი თავისი კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელებაზე ამბობს უარს;
2. საქართველოს პარლამენტი ახდენს მისი უფლებამოსილების ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი ნაწილის დელეგირებას.

თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე სასურველია, თითოეული საკითხი დამოუკიდებლად განვიხილოთ.

2.2.2.1 პარლამენტის მიერ თავისი კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელებაზე უარის თქმა, როგორც დელეგირების არაკონსტიტუციურად ცნობის საფუძველი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ კონსტიტუციური ნორმები ფორმალური კრიტერიუმის ფორმულირების კუთხით შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად:

ა) კონსტიტუციური ნორმები, რომლებიც ადგენენ კონკრეტული საკითხის რეგულირების ფორმალურ კრიტერიუმს;

ამ ჯგუფში ერთიანდება ის კონსტიტუციური ნორმები, რომლებიც ადგენენ ფორმალურ მოთხოვნას იმ ნორმის მიმართ, რომლითაც უნდა დარეგულირდეს კონკრეტული საკითხი/საკითხები. მაგალითისათვის, ასეთი სახით ფორმულირებულია შემდეგი კონსტიტუციური ნორმები: „საქართველოს სახელმწიფო დროშა, გერბი და ჰიმნი დადგენილია ორგანული კანონით.“[41] „ფულის სახელწოდება და ერთეული განისაზღვრება ორგანული კანონით.“[42] თითოეული ეს ნორმა კანონით ან ორგანული კანონით მოწესრიგების ფორმალურ მოთხოვნას ადგენს იმ ნორმების მიმართ, რომლითაც უნდა დარეგულირდეს ისეთი კონკრეტული საკითხები, როგორებიცაა: ფულის სახელწოდება, გერბი და სხვა..

40 Ziamou, T., 2000. Public Participation in Administrative Rulemaking: The Legal Tradition and Perspective in the American and European (English, German, Greek) Legal Systems. Heidelberg Journal of International Law (HJIL). Vol. 60. გვ. 55. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.zaoerv.de/60_2000/60_2000_1_a_41_102.pdf> [წვდომის თარიღი 23 ოქტომბერი 2020].

41 მუხლი 2 (4), საქართველოს კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [წვდომის თარიღი 23 ოქტომბერი 2020].

42 იქვე. მუხლი 68 (4).

ბ) კონსტიტუციური ნორმები, რომლებიც ადგენენ ცალკეულ უფლებასთან ან უფლებათა ჯგუფთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი კანონმდებლობის ფორმალურ კრიტერიუმს.

ფორმალური კრიტერიუმის დამდგენი კონსტიტუციური ნორმების ამ ჯგუფში ერთიანდება ის კონსტიტუციური ნორმები, რომლებიც ადგენენ არა კონკრეტული საკითხის (მაგალითად: გადასახადის განაკვეთი, მოსამართლის ზღვრული ასაკი და სხვ.) რეგულირების ფორმალურ კრიტერიუმს, არამედ მიუთითებენ, რა ფორმით უნდა დარეგულირდეს სამართლებრივი ურთიერთობების ესა თუ ის ჯგუფი, რომელიც, თავის მხრივ, დასარეგულირებელი საკითხების ფართო და მრავალფეროვან სპექტრს აერთიანებს. ამ ჯგუფში შემავალი კონსტიტუციური ნორმების მაგალითია: „ ყველას აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ან სხვა ინფორმაციას, ან ოფიციალურ დოკუმენტს, ...“[43] „საჯარო ინტერესებისათვის დასაშვებია ამ [საკუთრების] უფლების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებსა და დადგენილ წესში.“[44]

დელეგირების ფაქტის კონსტიტუციურობის განხილვისას მნიშვნელოვანია სწორედ ის, თუ რომელ ჯგუფში შემავალი კონსტიტუციური ნორმით გათვალისწინებული საკითხის მოწესრიგების უფლებამოსილება გადასცა პარლამენტმა სხვა ორგანოს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ფაქტი, როდესაც გარკვეული უფლებამოსილების დელეგირებით საქართველოს პარლამენტი თავისი კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელებაზე ამბობს უარს, აისახება ისეთ შემთხვევაში, როდესაც კონსტიტუცია კონკრეტულად მიუთითებს საკითხის მოწესრიგებასთან დაკავშირებით.[45]

აღნიშნული თვალსაზრისით საინტერესოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისის №3/3/763 გადაწყვეტილება, რომელშიც საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ არსებობს შემთხვევები, როდესაც პარლამენტის მიერ უფლებამოსილების დელეგირებამ შეიძლება კონსტიტუციის დარღვევა გამოიწვიოს. მაგალითად: ისეთ შემთხვევაში, როდესაც კონსტიტუცია კონკრეტულად მიუთითებს საკითხის მოწესრიგებაზე. საკითხის მოწესრიგების კონკრეტული მითითების მაგალითად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაასახელა საქართველოს კონსტიტუციის 2017 წლის 13 ნოემბრამდე მოქმედი რედაქციის 50-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით ცალსახად მიუთითებდა, რომ არჩევნებში მონაწილეობისათვის წარსადგენ მხარდამჭერთა ხელმოწერების რაოდენობა უნდა განსაზღვრულიყო ორგანული კანონით. განსახილველ საქმეში მოსარჩელე ფორმალური მოთხოვნის დარღვევის მტკიცებისას აპელირებდა კონსტიტუციის იმ მუხლზე, რომელშიც, ზემოთ მოყვანილი მაგალითისგან განსხვავებით, მოცემული იყო ზოგადი მითითება პარლამენტის წევრის არჩევის წესის ორგანული კანონით განსაზღვრასთან დაკავშირებით. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა: „საკითხის ბუნებიდან გამომდინარე, პარლამენტი უფლებამოსილია, გარკვეულ შემთხვევაში მისი მოწესრიგების უფლებამოსილების სხვა ორგანოზე დელეგირება მოახდინოს“,[46] ვინაიდან,

43 იქვე. მუხლი 18 (2).
44 იქვე. მუხლი 19 (2).
45 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება (საქმე N3/3/763).
46 იქვე.

საქართველოს კონსტიტუციის მიზანს არ წარმოადგენს საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული ყველა, მათ შორის, ფორმალური საკითხის ორგანული კანონით მოწესრიგება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის თანახმად, კონსტიტუციის ფორმალურ მოთხოვნასთან აპრიორი შეუსაბამოდ მიიჩნევა მხოლოდ პირველ ჯგუფში შემავალი ნორმებით განსაზღვრული კონკრეტული საკითხის მოწესრიგების უფლებამოსილების დელეგირება. რაც შეეხება მეორე ჯგუფში შემავალ კონსტიტუციურ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ ზოგადი საკითხის რეგულირების ფორმალურ კრიტერიუმს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ასეთი სახით ფორმულირებული ნორმებით გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთობების დელეგირება a priori არაკონსტიტუციური არ არის. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საკითხის ბუნებიდან გამომდინარე, პარლამენტს აქვს შესაძლებლობა, გარკვეულ შემთხვევაში, მისი მოწესრიგების უფლებამოსილების სხვა ორგანოზე დელეგირება მოახდინოს."[47] შესაბამისად, ასეთი სახის დელეგირებისას, საკონსტიტუციო სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დგება აუცილებლობის წინაშე, შეისწავლოს დელეგირებული საკითხის არსი და მნიშვნელობა, გამოარკვიოს არის თუ არა სახეზე პარლამენტის მიერ თავისი უფლებამოსილების ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი ნაწილის დელეგირება.

2.2.2.2 პარლამენტის მიერ თავისი უფლებამოსილების ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი ნაწილის დელეგირება, როგორც დელეგირების არაკონსტიტუციურად ცნობის საფუძველი.

აღნიშნული კრიტერიუმის ფარგლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განისაზღვროს სადავო ნორმა პროცესუალურია თუ მატერიალური. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ ნორმის არაკონსტიტუციურობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე უდიდეს გავლენას ახდენს იმის განსაზღვრა, პარლამენტის მიერ საკითხის მოწესრიგების უფლებამოსილების დელეგირების ფარგლებში კომპეტენტურმა ორგანომ თავისი კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტით უფლების ძირითადი შინაარსი განსაზღვრა თუ მხოლოდ ფორმალური, პროცედურული საკითხები. იდეალურ შემთხვევაში უფლების ძირითადი შინაარსი განისაზღვრება კანონით, ხოლო მისი იმპლემენტაციისათვის საჭირო ნორმები კანონქვემდებარე აქტით. შესაბამისად, პროცედურული საკითხების რეგულირების უფლებამოსილების დელეგირება, როგორც წესი, კონსტიტუციურად მიიჩნევა.

გამონაკლისი ამ ზოგადი მიდგომიდან შესაძლოა იყოს მხოლოდ ის შემთხვევა, როდესაც უშუალოდ პროცედურული ნორმებია მაღალი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ინტერესის საგანი და მისი მოწესრიგების უფლებამოსილების სხვა ორგანოსათვის გადაცემა შეიძლება ჩაითვალოს პარლამენტის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი უფლებამოსილების დელეგირებად. თუმცა პრაქტიკაში დაბალია იმის ალბათობა, რომ ფორმალურ, პროცედურულ ნორმებს ამგვარი, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭოს.

შედარებით პრობლემურია შემთხვევები, როდესაც დელეგირების ფარგლებში ხდება არა პროცედურული საკითხების განსაზღვრა, არამედ შეზღუდვის შინაარსობრივი რეგულირება. ის ფაქტი, რომ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში

47 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება (საქმე N2/5/700).

კანონქვემდებარე აქტით, ან მისი ნაწილით, განისაზღვრება უფლების შეზღუდვის ძირითადი შინაარსი, ეს „a priori" არ ნიშნავს ამ ნორმის არაკონსტიტუციურობას. ასეთი დელეგირების კონსტიტუციურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დელეგირებული უფლებამოსილების შინაარსზე. 2019 წლის 2 აგვისტოს N1/7/1275 გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა: „ამა თუ იმ საკითხის მოწესრიგების დელეგირების მიმართ საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი მოთხოვნები არ არის ერთნაირი. გარკვეული კატეგორიის/შინაარსის საკითხების მოწესრიგების დელეგირების მიმართ მოთხოვნები განსაკუთრებით მკაცრია, რასაც თავად მოსაწესრიგებელი საკითხის არსი განაპირობებს."[48]

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ის ფაქტი, რომ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ შეიმუშავა ე.წ. „არსებითის თეორია" (Wesentlicbkeitstbeorie). თეორიის თანახმად, როდესაც კანონმდებელი არეგულირებს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, დემოკრატიისა და კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპები, კანონმდებელს ავალდებულებს თავადვე მიიღოს გადაწყვეტილება და მსგავსი საკითხები არ დატოვოს ადმინისტრაციული ორგანოების დისკრეციაში."[49] ამ პრინციპს იზიარებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. სასამართლოში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, პარლამენტი არ არის უფლებამოსილი სხვა ორგანოს გადააბაროს ისეთი საკითხების მოწესრიგება, რომლებიც მაღალი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ინტერესის საგანია და წარმოადგენს ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხს.

მაგალითისათვის, 2019 წლის 2 აგვისტოს N1/7/1275 გადაწყვეტილებაში სწორედ ასეთ ფუნდამენტურ საკითხად მიიჩნია საკონსტიტუციო სასამართლომ გამოხატვის თავისუფლება და განმარტა, რომ მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოა უფლებამოსილი დაადგინოს ასეთი ფუნდამენტური უფლების შეზღუდვის საფუძვლები.

2016 წლის 20 ივლისის N3/3/763 გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლომ მაღალი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ინტერესის საგნად მიიჩნია ასევე საარჩევნო უფლებები და ის ნორმები, რომლებიც ამ უფლების შეზღუდვის საფუძვლებს ადგენდნენ. „საარჩევნო უფლების შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კონსტიტუციის შესაბამისად და მის საფუძველზე. შესაბამისად, უფლების შეზღუდვის ძირითადი საყრდენი უნდა იყოს საკანონმდებლო რეგულაცია, რომელიც გამომდინარეობს კონსტიტუციიდან... თუ ორგანული კანონი არ ადგენს უფლების კონსტიტუციის შესაბამისად შეზღუდვის ყველა საფუძველს და საყრდენს, მაშინ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მიღებული ნებისმიერი რეგულაცია, შესაძლოა, ეწინააღმდეგებოდეს უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურ შინაარსს."[50] ამდენად, ამ კრიტერიუმით ნორმის შეფასება მოითხოვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო ნორმით დარეგულირებული საკითხის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მნიშვნელობის სიღრმისეულ ანალიზს.

48 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება (საქმე N1/7/1275).

49 Ziamou, T., 2000. Public Participation in Administrative Rulemaking: The Legal Tradition and Perspective in the American and European (English, German, Greek) Legal Systems. Heidelberg Journal of International Law (HJIL). Vol. 60. გვ. 56. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.zaoerv.de/60_2000/60_2000_1_a_41_102.pdf> [წვდომის თარიღი 23 ოქტომბერი 2020].

50 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება (საქმე N3/3/763).

დასკვნა

2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა საქართველოს კონსტიტუციაში, რომელთა ნაწილი შეეხო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებს. მეცნიერთა გარკვეული ჯგუფი მიიჩნევს, რომ ამ ცვლილებების ფონზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაკარგა ფორმალური კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა. სტატია წარმოაჩენს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის ფარგლებშიც შესაძლებელია ფორმალური კონტროლის უფლებამოსილების ამოკითხვა და რეკომენდებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის განმარტების გზით აღიაროს სრული ფორმალური კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა, როგორც აბსტრაქტული, ასევე კონკრეტული კონტროლის უფლებამოსილების ფარგლებში.

წინამდებარე სტატიაში ასევე გაანალიზებულია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმდინარე პრაქტიკაში საკითხის კანონით/ორგანული კანონით მოწესრიგების ფორმალურ კრიტერიუმზე დაყრდნობით ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის საფუძვლები და სისტემატიზებულია ამ სფეროში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი კონსტიტუციური სტანდარტები.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალანია, თ., 2019. საკონსტიტუციო ცვლილებებიდან პრობლემურად ვერცერთს დავასახელებ. ტაბულა. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://www.tabula.ge/ge/story/156169-tamar-alania-sakonstitucio-cvlilebebidan-problemurad-vercerts-davasaxeleb> [წვდომის თარიღი 31 ოქტომბერი 2020].
2. გეგენავა, დ., 2018. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო: პოზიტიური კანონმდებლობის მცდელობა და გამოწვევები. ლადო ჭანტურია 55. თბილისი: დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, გვ. 117-141.
3. გრიმი, დ., 2019. რა არის პოლიტიკური საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაში. კონსტიტუციონალიზმი მიღწევები და გამოწვევები. თბილისი: უნივერსალი, გვ. 174-198.
4. ერემაძე, ქ., 2013. კონსტიტუციური კანონის კონსტიტუციურობის შეფასების პერსპექტივები. ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა, გვ. 60-80.
5. კახიანი, გ., 2008. საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
6. ლოლაძე, ბ., 2014. კონსტიტუციური ცვლილებების კონსტიტუციურობის კონტროლის პერსპექტივა საქართველოში. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია:<https://www.emc.org.ge/ka/products/konstitutsiis-tsvlilebebis-konstitutsiurobis-kontrolis-perspektiva-sakartveloshi>[წვდომის თარიღი 31 ოქტომბერი 2020].
7. პინელი, ჩ., 1997. საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციები, მოსამართლეების არჩევა. ადამიანი და კონსტიტუცია, 1.
8. ტუღუში, თ. და სხვები, 2013. ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა. თბილისი: GIZ.

9. ფირცხალაშვილი, ა., 2017. საკონსტიტუციო სასამართლოს რეალური კონტროლი კვლავ კონსტიტუციის გადასინჯვის მიღმა. აკადემიური მაცნე. სპეციალური გამოცემა. თბილისი: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 7-19.
10. ხეცურიანი, ჯ., 2018. საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში (2017 წ.) და საკონსტიტუციო სასამართლო. საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, გამოცემა 1. გვ. 27-42.
11. Başlar, K. and Tülen, H., 2004. The Constitutional Court: 1962-2003 An Introduction to the Composition and Functions of the Constitutional Court of the Republic of Turkey. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.anayasa.gen.tr/baslar1-text.pdf> [წვდომის თარიღი 23 ოქტომბერი 2020].
12. Haratyunyan, G. and Mavcic, A., 1999. Constitutional Review and its Development in the Modern World. Publisher: Yerevan – Lyblyana. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://www.concourt.am/Books/harutunyan/monogr3/book.htm> [წვდომის თარიღი 23 ოქტომბერი 2020].
13. Herzog, P., 1993. Japan's Pseudo-Democracy. Published by: NYU Press.
14. Köybaşı, S., 2016. Developments in Turkish Constitutional Law: The Year 2016 in Review. Blog of the International Journal of Constitutional Law I-CONnect. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://www.iconnectblog.com/2017/12/turkey-2016-review/> [წვდომის თარიღი 23 ოქტომბერი 2020].
15. Rose-Ackerman, S., 2010. Regulation and Public Law in Comparative Perspective. The University of Toronto Law Journal, 60 (2). pp. 519-535. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://www.jstor.org/stable/40801417?seq=1 [წვდომის თარიღი 23 ოქტომბერი 2020].
16. Sinani, B., 2013. A critical-legal overview of the concept of constitution as the highest legal – political act of the state in the light of constitutional-juridical doctrine. Journal of law and social sciences of the Law Faculty of University J.J. Stossmayer in Osijek, 29 (2). pp. 51–65.
17. Ziamou, T., 2000. Public Participation in Administrative Rulemaking: The Legal Tradition and Perspective in the American and European (English, German, Greek) Legal Systems. Heidelberg Journal of International Law (HJIL), Vol. 60. pp. 41-101. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.zaoerv.de/60_2000/60_2000_1_a_41_102.pdf> [წვდომის თარიღი 23 ოქტომბერი 2020].

ნორმატიული აქტები:

1. საქართველოს კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [წვდომის თარიღი 23 ოქტომბერი 2020].
2. საქართველოს კონსტიტუციური კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/30442?publication=3> [წვდომის თარიღი: 23 ოქტომბერი 2020].

სასამართლო პრაქტიკა:

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე N2/6/1311).
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება (საქმე N1/7/1275).
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება (საქმე N2/2/867).
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება (საქმე N2/5/700).
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე N2/5/658).
6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე N3/1/659).
7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება (საქმე N3/3/763).
8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის განჩინება (საქმე N1/1/549).

9. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე N1/466).
10. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 სექტემბრის განჩინება (საქმე N2/14/244).
11. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 17 ნოემბრის განჩინება (საქმე N2/18/255).
12. საქათველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 30 ნოემბრის განჩინება (საქმე N116).

Bibliography:

Used Literature:

1. Alania, T., 2019. I can not name any of the constitutional changes as problematic. Tabula. [Online] Available at: <http://www.tabula.ge/ge/story/156169-tamar-alania-sakonstitucio-cvlilebebidan-problemurad-vercerts-davasaxeleb> [Accessed 31 October 2020]. (in Georgian)
2. Gegenava, D., 2018. Constitutional Court of Georgia: Attempts and Challenges of Positive Legislation. Lado Chanturia 55. Tbilisi: Davit Batonishvili law Institute, pp. 117-141. (in Georgian)
3. Grimm, D., 2019. Was ist politisch an der Verfassungsgerichtsbarkeit. Constitutionalism Achievements and Challenges. Tbilisi: Universali, pp. 174-198. (in Georgian and in German)
4. Eremadze, K., 2013. Prospects of Assessing Constitutionality of the Constitutional Law. Human Rights and Supremacy of Law. pp. 60-80. (in Georgian)
5. Kakhiani, G., 2008. Institute of Constitutional Control and Problems of its Functioning in Georgia – The Legislation and Practice Analysis. Tbilisi: Tbilisi State University Publishing House. (in Georgian)
6. Loladze, B., 2014. Perspective of Constitutional Review of Constitutional Changes in Georgia. The Human Rights Education and Monitoring Center (EMC). [Online] Available at: <https://www.emc.org.ge/ka/products/konstitutsiis-tsvlilebebis-konstitutsiurobis-kontrolis-perspektiva-sakartveloshi> [Accessed 31 October 2020]. (in Georgian)
7. Pinelli, C., 1997. Functions of Constitutional Court, Elections of Judges. Individual and Constitution, 1. (in Georgian)
8. Tughushi, T. and others, 2013. Human Rights and Case-Law of the Constitutional Court of Georgia. Tbilisi: GIZ. (in Georgian)
9. Phirtskhalashvili, A., 2017. Real Control of the Constitutional Court of Georgia – still beyond the revision of Constitution. Academic Digest. Special Edition. Tbilisi: Grigol Robakidze University Publishing House. pp. 7-19. (in Georgian)
10. Khetsuriani, J., 2018. Constitutional Reform In Georgia (2017) and the Constitutional Court. Journal of Constitutional Law, Vol.1. pp. 27 – 42. (in Georgian)
11. Başlar, K. and Tülen, H., 2004. The Constitutional Court: 1962-2003 An Introduction to the Composition and Functions of the Constitutional Court of the Republic of Turkey. [Online] Available at: https://www.anayasa.gen.tr/baslar1-text.pdf [Accessed 31 October 2020]. (in English)
12. Haratyunyan, G. and Mavcic, A., 1999. Constitutional Review and its Development in the Modern World. Publisher: Yerevan – Lyblyana. [Online] Available at: <http://www.concourt.am/Books/harutunyan/monogr3/book.htm> [Accessed 31 October 2020]. (in English)
13. Herzog, P., 1993. Japan's Pseudo-Democracy. Published by: NYU Press. (in English)
14. Köybaşı, S., 2016. Developments in Turkish Constitutional Law: The Year 2016 in Review. Blog of the International Journal of Constitutional Law I-CONnect. [Online] Available at: http://www.iconnectblog.com/2017/12/turkey-2016-review/ [Accessed 31 October 2020]. (in English)
15. Rose-Ackerman, S., 2010. Regulation and Public Law in Comparative Perspective. The University of Toronto, Law Journal, 60 (2), pp. 519-535. [Online] Available at: https://www.jstor.org/stable/40801417?seq=1 [Accessed 31 October 2020]. (in English)
16. Sinani, B., 2013. A critical-legal overview of the concept of constitution as the highest legal – political act of the state in the light of constitutional-juridical doctrine. Journal of law and social sciences of the Law Faculty of University

J.J. Stossmayer in Osijek, 29 (2). pp. 51 – 65. (in English)

17. Ziamou, T., 2000. Public Participation in Administrative Rulemaking: The Legal Tradition and Perspective in the American and European (English, German, Greek) Legal Systems. Heidelberg Journal of International Law (HJIL), Vol. 60. pp. 41-101. [Online] available at: https://www.zaoerv.de/60_2000/60_2000_1_a_41_102.pdf [Accessed 31 October 2020]. (in English)

Normative material:

1. Constitution of Georgia. Departments of the Parliament of Georgia. [Online] Available at: https://www.matsne.gov.ge/en/document/view/30346?publication=36 [Accessed 23 October 2020]. (in English)
2. Constitutional Law of Georgia on the Status of the Autonomous Republic of Ajara. [Online] Available at: https://www.matsne.gov.ge/en/document/view/30442?publication=2 [Accessed 23 October 2020]. (in English)

Judicial practice:

1. The decision of the Constitutional Court of Georgia, 17 December 2019 (Case N2/6/1311). (in Georgian)
2. The decision of the Constitutional Court of Georgia, 2 August 2019 (Case N1/7/1275). (in Georgian)
3. The decision of the Constitutional Court of Georgia, 28 May 2019 (Case N2/2/867). (in Georgian)
4. The decision of the Constitutional Court of Georgia, 26 July 2018 (Case N2/5/700). (in Georgian)
5. The decision of the Constitutional Court of Georgia, 15 February 2017 (Case N3/1/659). (in Georgian)
6. The decision of the Constitutional Court of Georgia, 16 November 2017 (Case N2/5/658). (in Georgian)
7. The decision of the Constitutional Court of Georgia, 20 July 2016 (Case N3/3/763). (in Georgian)
8. Ruling of the Constitutional Court of Georgia, 5 February 2013 (Case N1/1/549). (in Georgian)
9. The decision of the Constitutional Court of Georgia, 28 June 2010 (Case N1/466). (in Georgian)
10. Ruling of the Constitutional Court of Georgia, 30 September 2003 (Case N2/14/244). (in Georgian)
11. Ruling of the Constitutional Court of Georgia, 17 November 2003 (Case N2/18/255). (in Georgian)
12. Ruling of the Constitutional Court of Georgia, 30 November 1999 (Case N116). (in Georgian)

References:

1. Kakhiani, G., 2008. Institute of Constitutional Control and Problems of its Functioning in Georgia – The Legislation and Practice Analysis. Tbilisi: Tbilisi State University Publishing House, p. 31. (in Georgian)
2. Herzog, P., 1993. Japan's Pseudo-Democracy. Published by NYU Press, p. 40. (in English)
3. Sinani, B., 2013. A critical-legal overview of the concept of constitution as the highest legal – political act of the state in the light of constitutional-juridical doctrine. Journal of law and social sciences of the Law Faculty of University J.J. Stossmayer in Osijek, 29 (2), p. 52. (in English)
4. Kakhiani, G., 2008. Institute of Constitutional Control and Problems of its Functioning in Georgia – The Legislation and Practice Analysis. Tbilisi: Tbilisi State University Publishing House, p. 31. (in Georgian)
5. Başlar, K. and Tülen, H., 2004. The Constitutional Court: 1962-2003 An Introduction to the Composition and Functions of the Constitutional Court of the Republic of Turkey. p. 4. [Online] Available at: https://www.anayasa.gen.tr/baslar1-text.pdf [Accessed 31 October 2020]. (in English)
6. Köybaşı, S., 2016. Developments in Turkish Constitutional Law: The Year 2016 in Review. Blog of the International Journal of Constitutional Law I-CONnect. [Online] Available at: <http://www.iconnectblog.com/2017/12/turkey-2016-review/> [Accessed 31 October 2020]. (in English)
7. Başlar, K. and Tülen, H., 2004. The Constitutional Court: 1962-2003 An Introduction to

the Composition and Functions of the Constitutional Court of the Republic of Turkey. p. 4. [Online] Available at: <https://www.anayasa.gen.tr/baslar1-text.pdf> [Accessed 31 October 2020]. (in English)

8. Khetsuriani, J., 2018. Constitutional Reform In Georgia (2017) and the Constitutional Court. Journal of Constitutional Law, Vol.1. p. 37. (in Georgian)
9. Ibid. p. 38.
10. Alania, T., 2019. I can not name any of the constitutional changes as problematic. Tabula. [Online] Available at: <http://www.tabula.ge/ge/story/156169-tamar-alania-sakonstitucio-cvlilebebidan-problemurad-vercerts-davasaxeleb> [Accessed 31 October 2020]. (in Georgian)
11. Loladze, B., 2014. Perspective of constitutional review of constitutional changes in Georgia. The Human Rights Education and Monitoring Center (EMC). [Online] Available at: <https://www.emc.org.ge/ka/products/konstitutsiis-tsvlilebebis-konstitutsiurobis-kontrolis-perspektiva-sakartveloshi> [Accessed 31 October 2020]. (in Georgian)
12. Kakhiani, G., 2008. Institute of Constitutional Control and Problems of its Functioning in Georgia – The Legislation and Practice Analysis. Tbilisi: Tbilisi State University Publishing House, p. 124. (in Georgian)
13. Grimm, D., 2019. Was ist politisch an der Verfassungsgerichtsbarkeit. Constitutionalism Achievements and Challenges. Tbilisi: Universali Publishing House, p. 183. (in Georgian and in German)
14. Pinelli, C., 1997. Functions of Constitutional Court, Elections of Judges. Individual and Constitution, 1. p. 37. (in Georgian)
15. Gegenava, D., 2018. Constitutional Court of Georgia: Attempts and Challenges of Positive Legislation. Lado Chanturia 55. Tbilisi: Davit Batonishvili law Institute, p. 120. (in Georgian)
16. Tughushi, T. and others, 2013. Human Rights and Case-Law of the Constitutional Court of Georgia. Tbilisi: GIZ, p.15. (in Georgian)
17. Eremadze, K., 2013. Prospects of Assessing Constitutionality of the Constitutional Law. Human Rights and Supremacy of Law. p. 78. (in Georgian)
18. Gegenava, D., 2018. Constitutional Court of Georgia: Attempts and Challenges of Positive Legislation. Lado Chanturia 55. Tbilisi: Davit Batonishvili law Institute, p. 124. (in Georgian)
19. Phirtskhalashvili, A., 2017. Real Control of the Constitutional Court of Georgia – still beyond the revision of Constitution. Academic Digest. Special Edition. Tbilisi: Grigol Robakidze University Publishing House, p. 11. (in Georgian)
20. Article. 60(4,a), Constitution of Georgia. [Online] Available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [Accessed 31 October 2020]. (in Georgian)
21. Ibid. Article 60(4,b). (in Georgian)
22. Herzog, P., 1993. Japan's Pseudo-Democracy. Published by NYU Press, p. 39. (in English)
23. Haratyunyan, G. and Mavcic, A., 1999. The Constitutional Review and its Development in the Modern World. Publisher: Yerevan – Lyblyana. Chapter VII. [Online] Available at: <http://www.concourt.am/Books/harutunyan/monogr3/book.htm> [Accessed 31 October 2020]. (in English)
24. Haratyunyan, G. and Mavcic, A., 1999. The Constitutional Review and its Development in the Modern World. Publisher: Yerevan – Lyblyana. Chapter VII. [Online] Available at: <http://www.concourt.am/Books/harutunyan/monogr3/book.htm> [Accessed 31 October 2020]. (in English)
25. Ruling of the Constitutional Court of Georgia, 30 September 2003 (Case N2/14/244). (in Georgian)
26. Ruling of the Constitutional Court of Georgia, 5 February 2013 (Case N1/1/549). (in Georgian)
27. Ruling of the Constitutional Court of Georgia, 5 February 2013 (Case N1/1/549). (in Georgian)
28. The decision of the Constitutional Court of Georgia, 28 May 2019 (Case N2/2/867). (in Georgian)
29. The decision of the Constitutional Court of Georgia, 15 February 2017 (Case N3/1/659). (in Georgian)
30. The decision of the Constitutional Court of Georgia, 17 December 2019 (Case N2/6/1311). (in Georgian)
31. The decision of the Constitutional Court of

Georgia, 17 December 2019 (Case N2/6/1311). (in Georgian)
32. Ziamou, T., 2000. Public Participation in Administrative Rulemaking: The Legal Tradition and Perspective in the American and European (English, German, Greek) Legal Systems. Heidelberg Journal of International Law (HJIL), Vol. 60. p. 55. [Online] available at: <https://www.zaoerv.de/60_2000/60_2000_1_a_41_102.pdf> [Accessed 31 October 20200]. (in English)
33. The decision of the Constitutional Court of Georgia, 2 August 2019 (Case N1/7/1275). (in Georgian)
34. The decision of the Constitutional Court of Georgia, 2 August 2019 (Case N1/7/1275). (in Georgian)
35. Rose-Ackerman, S., 2010. Regulation and Public Law in Comparative Perspective. The University of Toronto Law Journal, 60 (2). p. 534. [Online] Available at: https://www.jstor.org/stable/40801417?seq=1 [Accessed 31 October 2020]. (in English)
36. The decision of the Constitutional Court of Georgia, 2 August 2019 (Case N1/7/1275). (in Georgian)
37. The decision of the Constitutional Court of Georgia, 2 August 2019 (Case N1/7/1275). (in Georgian)
38. The decision of the Constitutional Court of Georgia, 16 November 2017 (Case N2/5/658). (in Georgian)
39. Article 6(3), Constitutional Law of Georgia on the Status of the Autonomous Republic of Ajara. [Online] Available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/30442?publication=3> [Accessed 31 October 2020]. (in Georgian)
40. Ziamou, T., 2000. Public Participation in Administrative Rulemaking: The Legal Tradition and Perspective in the American and European (English, German, Greek) Legal Systems. Heidelberg Journal of International Law (HJIL), Vol. 60. p. 55. [Online] Available at: <https://www.zaoerv.de/60_2000/60_2000_1_a_41_102.pdf> [Accessed 31 October 2020]. (in English)
41. Article 2 (4), Constitution of Georgia. [Online] Available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [Accessed 31 October 2020]. (in Georgian)
42. Ibid. Article 68(4).
43. Ibid. Article 18(2).
44. Ibid. Article 19(2).
45. The decision of the Constitutional Court of Georgia, 20 July 2016 (Case N3/3/763). (in Georgian)
46. Ibid. (in Georgian)
47. The decision of the Constitutional Court of Georgia, 26 July 2018 (Case N2/5/700). (in Georgian)
48. The decision of the Constitutional Court of Georgia, 2 August 2019 (Case N1/7/1275). (in Georgian)
49. Ziamou, T., 2000. Public Participation in Administrative Rulemaking: The Legal Tradition and Perspective in the American and European (English, German, Greek) Legal Systems. Heidelberg Journal of International Law (HJIL), Vol. 60, p. 56. [Online] Available at: <https://www.zaoerv.de/60_2000/60_2000_1_a_41_102.pdf> [Accessed 31 October 2020]. (in English)
50. The decision of the Constitutional Court of Georgia, 20 July 2016 (Case N3/3/763). (in Georgian)